№ 46
სამშაბათი, 3 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 46
სამშაბათი, 3 მარტი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნეინა ალათია ელისაბედის ასული შერვაშიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ამა მარტის 12-ს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას

## თავადის გრიგოლ შერვაშიძისა

გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი სოხუმის საკათედრო ტაძარში. (1—50—1).

ადამ ადამის ძე ყაზიბეგი და სვიმონ დავითის ძე ჯავროვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის ასულისა და მეორე ძვირფასის მეუღლის

## ანასტასია ადამის ასულის ჯავროვისას,

სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ დასასწრებლად 4 მარტს, დილის 9 საათზედ. მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი თუმანოვისა, № 15. წირვას გარდაიხდიან კუკიის სასაფლაოს ეკკლესიაში და დაკრძალულ იქმნება იქვე. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება დღეს, საღამოს 7 საათზედ. (1—1)

ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 4 მარტს, ოთხშაბათს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საზოგადო კრება

ქართველთა ამხანაგობისა.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.
2. არჩევანი ამხანაგობის თავ-რ მჯდომარისა (გამგესი), ხაზინადარისა და მდივნისა.

რადგანაც პირველი კრება არ შესდგა, ეს კრება კანონიერი იქმნება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვისა.

არა წევრთ კრებაზედ დასწრება აეკრძალებათ. ამხანაგობის წევრთ კერძო ბარათები არ გაეგზავნებათ. (3—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. პუღინკე**. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

### მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა გაწერილ გარდასახადთა დეპარტამენტის ბუღალტერის თანაშემწე კოლეჟსკი რეგისტრატორი ნოდია—ქუთაისის გუბერნიის, რაჭალეჩხუმის ნაწილის ხარჯის ამკრებ ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილ იქმნა, თავისისავე თხოვნით, ტფილისის სამაზრო პოლიციის გამგეობის მე-IX კლასის შტატს გარეშე მუოფის მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი, კოლეჟსკი სეკრეტარი ტარიელაშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, პირველ მარტს, მოხდა ბორჩალოს მაზრის თავადაზნაურთა საგანგებო კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა საგანი ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ. კრებამ ერთხმად ის აზრი წარმოსთქვა, რომ ერობის შემოღება საჭიროაო. ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრების საგანგებო კრებები ამავე საგნის განსახილველად მოხდება ამა მიმდინარე თვის გასულს და მომავალის თვის პირველ ნახევარში.

*** ადგილობრივის გაზეთების სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგიდგან ტფილისში 26 მარტს დაბრუნდება.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, კავკასიაში, პოლიტეხნიკუმის გარდა, აზრადა აქვთ აგრეთვე დააარსონ მაღალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელიც. ეს საგანი განხილული იქმნება კავკასიის მთავარ-მართებლის და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის პეტერბურგში ყოფნის დროს, რომელთა აზრსაც სასწავლებლის დაარსების საქმეში უმთავრესი მნიშვნელობა ექმნება მიცემული. ხსენებულის სასწავლებლის დაარსებას კავკასიაში სოფლის მეურნეობისა, მეთამბაქოობისა, მეღვინეობისა და სხვა წარმოებათა საჭიროების დაკმაყოფილება ექმნება აზრად.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს იმ ადგილებში, სადაც მევენახობას მისდევენ საწყობები ავადმყოფ ვაზების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო მასალებისა და მანქანებისა. ამ საწყობებში გაიყიდება დაკლებულის ფასით კარგის ხარისხის მასალა და მანქანები.

*** გზათა სამინისტრომ, შარშან ზაფხულს გაფუჭებულის სოხუმის ოლქში კოდორის ხიდის შესაკეთებლად და გასაახლებლად 40 ათასი მანეთი გადასდო. ხიდის განახლებას ამა წლის ზაფხულის დასაწყისს შეუდგებიან.

## ფელეტონი

—

### ოინბაზობაა თუ სულელობა?

(დასასრული *)

ჩვენი წინანდელი ფელეტონი შევაყენეთ თ. გ. თუმანოვის ახალ მოგონილ არითმეტიკაზე. რაც არის, ეს არითმეტიკაა. ტყუილად-კი არა ჰქადულობს იგი თავ-მოწონებით: ასეთია ჩემი ციფირებიო! თუ კაცები ხართ და ამ ციფირებს სარმას გამოჰკრავთ და ფეხს მოაცვლევინებთო!.. გალილეისაც არ დაუქადნია ასეთის რიხით, როცა აღმოაჩინა, რომ დედამიწა ტრიალებს და არა დგას ერთს ადგილასაო. მაგრამ გალილეი გალილეია და თ. გ. თუმანოვი თ. გ. თუმანოვია.

განა ხუმრობითა ვთქვით, რომ ჩვენს დალოცვილს ტფილისში თ. გ. თუმანოვის ბამბაც ჩხრიალებს და მისი ბზუილი ჰექა-ქუხილად გადის. შიშს დიდი თვალები აქვს, რწყილი აქლემად ეჩვენება და „კულტუროსანნი“, ხომ მოგეხსენებათ, ვაჟკაცობაზე უკაცრაოდ ბძანდებიან და, რა-ღა საკვირველია, კატის ჩხავილი ლომის ღრიალად ეჩვენოსთ. თუნდ ეგეც არ იყოს, ტფილისმა, ახალის კულტურის მოწყალებით, ყალბის ფულის კეთებაც იცის და გასაღებაც და ყალბი არითმეტიკა რომ მართალ არითმეტიკად გაანაღდოს, რა ძნელი საქმეა. ეს ოსტატური უნარი ტფილისისა კარგად იცოდა თ. გ. თუმანოვმა და თავისი ყალბი არითმეტიკა კისრად მოახვია, ყვავისა და ბუისა არ იყოს, შენ დიდი თავი გაქვს და ეს ჩემი მკვდარი ბახალა შენ იტირეო. ამასთან რიხითაც შესძახა: ასეთია ჩემი ციფირებიო! მოდი და გულს ნუ გაიხეთქთ შიშისა და ძრწოლისაგან. რაკი ასეთია თქვენი ციფირებიო, ჩვენც „ყაბულ“, ვინ რაღას გაგიბედავსო, მოახსენა ტფილისის საბჭომ და დასდუმდა. ასე გვეფიცება თვით თ. გ. თუმანოვი: ქალაქი ამ ჩემს არითმეტიკაზე დადგაო.

რა არითმეტიკაა იგი არითმეტიკა, თ. გ. თუმანოვმა გვაუწყა თავისის გაზეთის № 4844. პირველშივე ეს არითმეტიკა მოგვაგონებს იმ ნაცარქექიას, რომელსაც ერთი პაწია ქილა მაწონი ეშოვა და მიჰქონებია ბაზარში გასასყიდად: წავალ, ამ მაწონს გავყიდი, ვიყიდი ქათამს, ქათამი კვერცხს დასდებს, კვერცხი წიწილას გამომიჩეკს, წიწილებს გავყიდი, ვიყიდი ხარ-კამეჩს, ხარ-კამეჩს ურემში შევაბამ, დავუჯდები ზედ, ქალაქში შევალ ჩხვიტან და სხვანი. ამ ლამაზ ფიქრებში რომ არის, წარმოიდგინა, რომ მითამ ურემს ზედ უზის და ხარებს მოუქნია შოლტი. ამ მოქნევაში ქილა ხელიდამ გავარდა, მაწონი დაექცა და დარჩა უბედური სახტად.

არა გჯერათ, რომ თ. გ. თუმანოვის არითმეტიკაც სწორედ ამ ნაცარქექიულს აკიდოზეა ასხმული? აბა მაშ ყური დაგვიგდეთ. გთხოვთ, პირველშივე-კი ნუ დაიწყებთ სიცილს, ბოლომდე მოისმინეთ, იმიტომ-რომ ის იცინის ასლად, ვინც ბოლოს გაიცინებს.

თ. გ. თუმანოვი ბძანებს, რაც გინდ ცოტა ვთქვათ, უმაღლესს სასწავლებელში 400 კაცზე ნაკლები მოსწავლე არ შეიძლება იყოსო. დავუჯეროთ, რომ ეს ასე იქნება.

ყოველწლივ კავკასიის გიმნაზიებში 350 (?) კაცი ათავებს კურსსაო. თუნდ ვიფიქროთ, რომ ამ 350 კაციდამ მარტო ერთი მესამედი შევა ჩვენს პოლიტეხნიკუმში, მაინც ჩვენს პოლიტეხნიკუმს 400 კაცი ეყოლებაო. თუ 350-ის მესამედი 400-ია, რასაკვირველია, ეს ასე იქნება. როგორ მოგწონთ ეს ახალი არითმეტიკა: 350:3=400!.. მოდით და ამ ანგარიშს წუნი დასდეთ, ან ერთი ციფირი შეარყიეთ. რა თილისმიანი არითმეტიკა მოუგონია თ. გ. თუმანოვს, რომ მისის ძალით მესამედი 350-სა აქციოს 400-ად? ჰკუა არ უნდა ამას და ჰკუაც ეს არის, თუ არ დაგიშლიათ. იქნება თ. გ. თუმანოვმა თავი იმართლოს იმით, რომ ეგ რომ ვთქვი, განა პირველ წელიწადისათვის ვთქვიო; 350-დამ ყოველ წლივ რომ მესამედი შევიდეს ჩვენს პოლიტეხნიკუმში, სამს—ოთხს წელიწადს ხომ 400 გახდებაო. ეს შესაძლოა, მაგრამ მერე აადევნეთ ყური და ნახავთ, რომ 350-ის მესამედისაგან პირველ წელიწადშივე 400-ს ანგარიშობს ეს მართლა-და ჰკუის კოლოფი.

350-ის მესამედი 116-ზე ცოტა მეტია და იგი არითმეტიკა, რომელიც 116-ს აქცევს 400-ად, ძალიან უნდა გაუხარდეთ „კულტუროსნებს“. ამისთანა მანქანება ახალი არ არის ამათთვის. მათი დავთრები, ვექსილები და „ნეუსტოიკები“ ყველამ იცის რა ხილია და რა რიგად ჰბღარტობს ჩვენში. ხოლო აქ ახალი ის არის, რომ თ. გ. თუმანოვმა ამისთანა სასახელო „პრაქტიკას“ თეორია უპოვა და მეცნიერება მოწმად დაუყენა. ამ ღვაწლს არ დაივიწყებს მისი ამქარი. გვიკვირს, ქალაქის საბჭოს შუა კედელზე არ გააკრეს ფიცარი და ზედ არ დააწერეს ოქროს ასოებით: „ჯარო და ჯამაათო, ამას იქით იცოდეთ: 350:3=400. თილისმა თ. გ. თუმანოვისა, ჩვენ მიერ ბეჭედდასმული და დამტკიცებული“.

ეს 350-ს მესამედი ხომ 400-დ გადააქცია, ახლა ჰნახეთ ამ 400-ს რა ოსტატობით გადააქცევს 1500-ად. ამ 400 ს კაცს მოსწავლეს 100 კაცი მაინც მოხელენი, პროფესორები და ერთობ მოსამსახურენი ეყოლებაო. გახდა 500 კაციო. ამ 500-ს კაცში ისე როგორ იქნება, რომ ბევრს (რასაკვირველია, მოსწავლესაც, თუ არ დაგიშლიათ) ცოლშვილი არა ჰყვანდესო და ხელზე მოსამსახურენიო და განა ჭარბად მოგვივა, რომ ამ ანგარიშით 500 კაცი 1000 ჩავთვალოთო.

მართალია, ჭარბად-კი არ მოგივათ და თუნდ მოგივიდეთ, არ გაწყენთ, მაგრამ ეს-კი უნდა ვიკითხოთ: რომელ „ნეუსტოიკით“?

ამ სახით ქალაქი ტფილისი 1000 ახალს მცხოვრებელს შეიძენსო. გამოდის, რომ ეს 500 კაცი სულ გარედამ შემოსულნი იქნებიან, ცოლშვილი ხომ ეყოლებათ და ეყოლებათ, ხელზე მოსამსახურეებსაც-კი თან მოიყვანენ გარედამ და ამ გზით აქ ტფილისში ერთი ორად იბღარტებენ და 1000 კაცი დადგებაო. ესეც 1000 კაცი, ღვთისა და თ. გ. თუმანოვის წყალობით. ამასაც არა ჰკმარობს ეს ჩვენი უსტაბაში კულტუროსნებისა. ეს ახალი მცხოვრებელნი თითქმის სულ ინტელლიგენცია იქნებაო, ამბობს იგი შემდეგ. რადგანაც ინტელ-

*) იხ. „ივერია“ № 45.

⁂ საქმე თავ. ამილახვრისა, თავ. ერისთავისა და გარსევანიშვილისა, რომელთაც ქალის მოტაცება ჰბრალდებათ, დანიშნულია ხელ-ახლა განსახილველად ტფილისის სამოსამართლო პალატაში ამა წლის 22 აპრილს. ეს საქმე ოლქის სასამართლომ და სამოსამართლო პალატამ გაარჩია და შემდეგ სენატში იქმნა გადატანილი.

⁂ გუშინ-წინ, 1 მარტს, შესდგა ზნე ხასიათის გამასწორებელ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ, გამგეობის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, აარჩია საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი. არჩეულ იქმნენ, გამგეობის წევრებად: ბ. ს. ვრასკი, ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი, ნ. პ. სმიტენი, თ. ა. ბიკოვი, მ. მ. შარიგინი, ვ. გ. ბუტირკინი, ა. ი. მიტკევიჩი, ი. ი. წინამძღვარიშვილი, კ. ნ. ტატიშჩევი, ტელეჟინსკი, ი. კ. სავიცკი და მირონოვიჩი, მათ კანდიდატებად: თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ა. ს. ფრენკელი და ა. პ. ბახმეტიევი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ლ. ი. შევალიე, ლ. ი. მღებროვი და კოლჩევსკი, ხოლო მათ კანდიდატებად: ა. ს. ფრენკელი, სულხანიშვილი და ლიტოვჩენკო. ამავე კრებაზედ კრების დასაწყისს კრების თავმჯდომარის სულთან-კრიმ-გირეის წინადადებით კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა განსვენებულს წევრს საზოგადოებისას ს. ი. ელენინს და მადლობა გარდაუხადა ექიმს მ. ზ. ქანანოვს, რომელიც უფასოდ სწამლობს ახალშენში მყოფთ მცირეწლოვან დამნაშავეთ.

⁂ გაზ. „ნოვ. ვრ.“ სწერს, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ზეთის ხილის მოყვანა-მოშენების ხელის შესაწყობადა და გასავრცელებლად განზრახვა აქვს შესაფერი სანერგე დაარსოს კავკასიაში. პირველად ამ გვარი სანერგე ართვინის ოლქის სოფ. ლომაშენს დაარსდება და სანერგეში ზეთის ხილის გარდა საუკეთესო ხილის ნერგებსაც დარგავენ, სახელდობრ: ვაშლისა, ღეღვისა და სხვათა.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, უმაღლესი მთავრობა უკვე შეუდგა და მალე დაასრულებს კიდეც განხილვას კავკასიის მთავრობის პროექტისას, კავკასიაში ისეთის „ვოლოსტების“ შემოღების შესახებ, როგორიც რუსეთის შიდა გუბერნიებშია შემოღებული.

⁂ გაზ. „ახ მიმ.“ სწერენ ქუთაისიდგან: „ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ამბავმა, რომელიც ამას წინად აქაურ ურთიერთა დამზღვევ საზოგადოებაში მოხდა. ხსენებულ საზოგადოებასთან წელიწად ნახევრის წინად სხვა და სხვა საქონლის დასაგირავებლად დაარსებულ იქმნა საწყობი. ამ რამდენისამე ხნის წინად ადგილობრივმა ვაჭარმა ც.—მა დააგირავა ამ საწყობში ჟირარდოვსკის საქონელი და საზოგადოებისაგან კარგა დიდი თანხმა მიიღო. როდესაც ფულის გასტუმრების ვადა დადგა, ც.—მ უარი განაცხადა, ფულს ვერ შემოვიტანო. მაშინ გადაწყვიტეს, რომ საქონელი საჯარო ვაჭრობით გაჰყიდონ. მაგრამ გასინჯეს თუ არა საქონელი, ყველანი გაკვირვებულნი დარჩნენ: ჟირარდოვსკის საქონლის ნაცვლად ყუთებში სხვა-და-სხვა დაწუნებული საქონელი აღმოჩნდა, რომელსაც არავითარი ფასი არა ჰქონდა.“

⁂ გაზ. „Глас“. სწერს, რომ ქ. ბათუმში იაპონიის საელჩო იქმნება დაარსებულიო.

⁂ „Торг.—пром.Газ.“-ის სიტყვით 23 თებერვალს რკინის გზათა დეპარტამენტში ამ დეპარტამენტის დირექტორის ბ-ნის მაქსიმოვის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას კრება ჰქონდა ჭიათურის შავის ქვის ადგილებში ახალის რკინის გზის შტოების გაყვანის საქმის განსახილველად. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, წინად ამ კომისიამ განიხილა თავ. გ. დ. წერეთლის პროექტი ამავე შტოების გაყვანის შესახებ, მაგრამ მაშინ ვერაფერ დასკვნას ვერ დაადგა და გადასწყვიტა შეიტყოს რა აზრისაა ამ საგნის შესახებ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა. თავ. წერეთლისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის წარმომადგენელის მოლაპარაკების შემდეგ, წინანდელი პროექტი შეცვლილ იქმნა და თავ. წერეთელმა წარადგინა ახალი შუამდგომლობა, რომელშიაც დასახელებულია შემდეგი რკინის გზის შტოების გაყვანა: 1, ჭიათურიდგან იტხვისსა და შუქრუთზედ სოფ. პერევისამდე, სიგრძე ამ შტოსი 15 ვერსი იქმნება; 2, ჭიათურიდგან წირქვალამდის—7 ვერსი და 3, პერეკისიდგან საჩხერემდის 18 ვერსი. სულ, ყველა შტოების სიგრძე—40 ვერსი იქმნება, რომლების გაყვანაც 2 მილიონ მანეთამდე დაჯდება. პირობები იგივეა, რაც წინა პროექტში იყო დასახელებული. კომისიამ ერთხმად ის აზრი წარმოსთქვა, რომ თავ. წერეთელს ახალის სამის შტოს გაყვანის ნება მიეცესო.

## პატარა საუბარი

გენერალ-ლეიტენანტმა აწ განსვენებულმა ს. ი. ქიშმიშოვმა ერთი პაწია წიგნაკი დასწერა, რომელსაც დაარქვა ზორბა სახელი: „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“. საქართველოსათვის სანუგეშო და თავ-მოსაწონებელი ამ წიგნაკში, რა თქმა უნდა, ავტორმა არა გააჭაჭანა რა. პირ-იქით, ფერადები დაუმუქა იმისთანა ამბებს, რომელიც საქართველოსათვის ასე, თუ ისე საწყენია. ვინ იცის, იქნება მთელს მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოში მართლა ერთი იმისთანა არა არსებულა-რა, კაცს ეთქმოდეს,—კიდევ, მადლობა ღმერთს, მთლად წყალწაღებული არა ყოფილა, ბნელში ცოტაოდენი შუქიცა ჰქონიათო, ბევრს ცუდში ცოტა რამ კარგიცა ჰრევიათო. ან იქნება განსვენებულს ავტორს შეჰშინებია, დამემდურება ვინმე, საქართველოზე რომ კარგი რამ ვთქვაო. ყველაფერი შესაძლებელია ეხლანდელ დროში, როცა პანტა ხილად გადის და თ. გ. თუმანოვი ბრძნად.

ესეა თუ ისე, ღმერთმა იცის. ხოლო პროფესსორს ორლოვს წაუკითხავს ეს მითამდა ისტორია ბ-ნ ქიშმიშოვისა და აი რა ქებით იხსენიებს: „ამ პატარა წიგნაკში, როგორიც არის „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“, ავტორს მოუთავსებია მოკლე და ისიც ზეზეურად, შიგ ჩაუხედებლად ამბები კახეთისა და ქართლისა მეთვრამეტე საუკუნეში 1798 წლამდე. ავტორს ყური არ უთხოვებია ახალ წყაროებისათვის, საკუთარი დასკვნა და მსჯელობა არ მოეპოვება, არც მისი საკუთარი ხელი ეტყობა, რომ ეს ამბები თავ-თავისს ადგილას გაერიგებინა და მწყობრად ეამბნა, არც ცოტაოდნად მაინც ორიგინალური სიტყვა-პასუხი ამჩნევია, პირ-იქით საუბარი ზოგან დაბნეული და არეულ-დარეულია. —ძნელი სათქმელია,— ეს თხზულება რისთვის არის დაწერილი და დაბეჭდილიო“.

მართლა-და, ძნელი გამოსაცნობია,—რისთვის? ხოლო რაც ჩვენთვის და პროფესორ ორლოვისათვის ძნელი გამოსაცნობია, ის თ. გ. თუმანოვისათვის ადვილია. ამას და მარტო ამას თუ შეუძლიან ამ ამიცანის ახსნა, თორემ სხვას არავის, მით უფრო, რომ „გულს გული იცნობს და ღონეს—ღონე“. განსვენებული გენერალ-ლეიტენანტი ქიშმიშოვი და აწ ბედნიერ სუფევით მყოფი გენერალ-არითმეტიკოსი თ. გ. თუმანოვი ღირსებითაც ტოლნი არიან და სიბრძნითაც სწორნი. რაც არითმეტიკაა თავადისა არითმეტიკისათვის, ისიც ისტორიაა გენერალ-ლეიტენანტისა ისტორიისათვის. კალითა და ნიშადურით რომ ერთი მეორეს გადაებათ, ერთი ლაზათიანი ზღაპარი გამოვა. სახე და ფერი არც ერთს არ წაუხდება. ვერც-კი გაიგებთ, სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე, ასე შესისხლ-ხორციანებულნი იქმნებიან ერთის მხრით არითმეტიკული ზღაპარი თავადის გ. თუმანოვისა და მეორეს მხრით—ზღაპრული ისტორია ქიშმიშოვისა.

„ვაი დრონო, დრონო, ნაქებნო მტკბარად!“ ცოდვა არ არის, მეცნიერნი დაიხოცნენ, ამათ დარჩათ მოედანი... რას იზამთ? ტყუილადკი არ არის ნათქვამი: „დრო მოვა და გატკბილდების, ხილად გავა პანტის ჩირიო“. აკი მოვიდა კიდეც!..

## დაბა სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ონი**, (რაჭის მაზრა), 23 თებერვალი. ყველა ქართველისათვის ღირსშესანიშნავმა დღემ, 11 იანვარმა, როცა ასი წელი შესრულდა სახელ განთქმულის მეფის ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ, ონელებისათვის შეურადღებოდ ჩაიარა. ჩვენ ღირსნი არ გავხდით,—იმ დღეს დანარჩენი ჩვენი მოძმეებისათვის ხელი გაგვეწვდინა, შორიდგან სალამი მიგვეცა და მათთან ერთად დიდებულის გმირის სულისათვის უფალს შევვედრებოდით. მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის: როგორც მოგეხსენებათ, ონი მიმალულია კავკა-

---

ლიგენცია იქნება, ხომ თვითვეული იმათგანი ერთი ორად მეტს დაჰხარჯავს, ვიდრე ორთა შუა შეძლების მოქალაქეო, ხელოსანს და მუშას ნულარ ვიტყვითო. ამ სახით ტფილისს მოემატება განათლებული ხალხიო, რომელიც უფრო ბევრს დახარჯავს, ვიდრე ორთა შუა შემძლებელი მოქალაქეო. ამ ანგარიშით მომატება ამ 1000 კაცის ინტელლიგენტისა 1500 კაცის მომატებას უდრისო ორთა-შუა შეძლების მოქალაქეთა მიხედვითაო. გულზე ხელი დაიდეთ და გვიბძანეთ, თ. გ. თუმანოვი და ზემოხსენებული ნაცარქექია ძალიან შორს არიან ერთი ერთმანეთზე? ესე ტყუპად სიარულს ძნელად შეხვდება კაცი. ეხლა-კი მჯერა, რომ ტფილისის საბჭომ მოიწონა თ. გ. თუმანოვის სიტყვა და არითმეტიკა. ხუმრობაა, 400-სი 1500-ად აქციოს კაცმა და მერე ეგრე უცებ და ანაზდეულად? მერე როგორ? არც სარგებელზე სარგებელი, არც „ნეუსტოიკა“. არც ჩლავი, არც ფლავი. აი „ასტვაც“, ეს რა მადანი უპოვა ბედისა, დახე, ამ ჩვენმა თ. გ. თუმანოვმა!..

რაკი ეს 1500 კაცი გამოჰქიმა, მერე ასე აროშვინებს თავისს არითმეტიკას. ქალაქში მცხოვრებელია სულ 160,000 სულიო. თუ 160,000 სული ერთს მილიონს შემოსავალს იძლევა ქალაქისათვის, მაშ ხომ 1500 სული შემოუტანს შემოსავალს 9375 მანეთსაო. ეს ხომ თითქმის ათასი თუმანი გაანაღდა თ. გ. თუმანოვმა იმ სამი ათას თუმნისა, რომელიც ტფილისი, მისის სიტყვით, შეჰპირებია პოლიტეხნიკუმს.

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: იმ ოთხას კაცში, რომელიც ეყოლება პოლიტეხნიკუმს, ტფილისელი არავინ იქნება? თუ იქნება, ტფილისელს ახალს მცხოვრებელად რადა სთვლის? ეს რომელი არითმეტიკაა!.. იტყვით, თ. გ. თუმანოვისააო. თუ თ. გ. თუმანოვისაა, რაღად უნდა გაიკვირვოთ.

მეორე ეს ვიკითხოთ: ეს ოთხასს მოსწავლეს რომ 100 კაცი დაუმატა, ესე შემდგარი 500 კაცი 1000 კაცად აქცია და 1000 კაცი 1500-დ, ხომ ამ ანგარიშში ხელზე მოსამსახურენიც პოლიტეხნიკუმისა ჩასთვალა და ხელზე მოსამსახურეები და სტოროჟები რა ინტელიგენციაა. სჩანს, თ. გ. თუმანოვს მოჰზმანებია, რომ ხელზე მოსამსახურენიც, მზარეულები, სტოროჟები და სხვა ამისთანანი სულ პროფესსორები იქნებიან. Губа не дура-ო, რუსები რომ იტყვიან, ეს არის.

მესამე ეს ვიკითხოთ: ვთქვათ 160,000 მცხოვრებელი ტფილისისა ერთს მილიონს შემოსავალს აძლევს ქალაქსა და აქედამ გამოატყვრინა თ. გ. თუმანოვმა, რომ 1500 ახალი მცხოვრებელი 9375 მ. შეჰმატებს. თუ ეგრეა და სულზე შემოსავალს ანგარიშობს, ჭკუა და ლოღიკა ითხოვს სულზედვე იანგარიშოს გასავალიცა. ამისთანა შემთხვევაში შემოსავალი და გასავალი განუყრელნი და-ძმანი არიან და ერთს ისე ვერ მოჰკიდებთ ხელს, რომ მეორეც სახეში არ იქონიოთ.

ჯერ ხანად ამაებს გზა ავუქციოთ და ამ ვაჟბატონს დავუჯეროთ, რომ იგი ცხვირიდამ წამოადენს პოლიტეხნიკუმს 9375 მანეთს ახალს შემოსავალს, რადგანაც სულზე ანგარიშით ასე მოდის. ამაზე ხომ უარს არ იტყვის, რომ ქალაქს შემოსავალთან გასავალიცა აქვს და ეს გასავალი შემოსავალზე ათი ათას თუმნამდე მეტია. აბა ეს ათი ათასი თუმანი მეტი გასავალი ისე გააწილადოს სულზე, როგორც შემოსავალი გააწილადა და მაშინ ჰნახავს, რომ ის პოლიტეხნიკუმის 1500 ინტელიგენტი, თუნდ რომ შემოსავალიც მართლა მოუმატოს ქალაქსა, მაინც ხარჯს ვერ გაუძლვება და ქალაქს ამ შემოსავალზე ოთხმოც თუმნამდე თავის ჯიბიდამ დაყრა მოუნდება. ამ სახით გამოვა, რომ შემოსავალი შედგება 9375 მანეთი და გასავალი 10,000 მანეთზედ მეტი. მაშ ეგ თქვენი 9375 მანეთი ახალი შემოსავალი „პრწანქ“, აფუ, თ. გ. თუმანოვო, თუ არ გეწყინებათ.

ვთქვათ, თ. გ. თუმანოვის მატრაკვეცულ არითმეტიკისამებრ მარტო ეს 9375 მანეთი შემოსავალი ვიანგარიშეთ და გასავალს-კი პანჩური ვკარით და „Новое Обозрѣніе“-ში ვუკარით თავი დასამწყვდევად, ჭკუა ისწავლოს და არ იმეტიჩაროს. ახარ, ხელჯოხიანი სალი ჭკუა რომ მოგვადგეს კარს და იკითხოს: „ტო, ახმახ, აქ, ქალაქის შემოსავალში ცალკე სულს რა საქმე აქვს, რომ აგიღია და ანგარიშობო?“

მართალიც არის: ვინც ქალაქის საქმეთა ანბანი იცის, იმან ისიც იცის, რომ ქალაქი სულს, ესე იგი, ქუდზე კაცს-კი არ ახდევინებს ხარჯს შემოსავლისათვის, არამედ უძრავ ქონებას, დუქან-ბაზრობას, ალებმიცემობას, ვაჭრობას და სხვას ამისთანას, რასაც რაიმე გამორჩენა აქვს. ამ მიზეზით, იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენი ინტელლიგენტი და არა-ინტელლიგენტი ტფილისში იყოს და საქალაქოდ-კი გროშსაც არ იხდიდეს. ეს ხომ ყველამ იცის და არ იცის მარტო თ. გ. თუმანოვმა. არ-ცოდნა არ-ცოდვაა. ვაპატიოთ ეს არ-ცოდნაც.

ერიჰააა!.. დაგვიყვირებს აბეზარმოსული სალი ჭკუა. ამდენი პატიობა ვის გაუგონია. ვაპატიეთ, ვითომც 350 მესამედისაგან 400 კაცი გამოცხვება, ვაპატიეთ, ვითომც ეს 400 კაცი 500-დ გადაიქცევა, ეს 500-ი 1000-დ და 1000 კაცი 1500-დ. განა არ ეყოფა? ესე რომ ვიაროთ, სად წავალთ? ჩვენცა ვწუხვართ, რომ ასე შორს მივდივართ და გძელდება საუბარი, მაგრამ არა უშავს-რა, მადლია. მადლი ხომ იმისთანა რამ არის, საცა წავალთ, წინ დაგვხვდება. თ. გ. თუმანოვზე არა დაგვეკარგება-რა.

მარტო ერთი რამა ვთხოვოთ აგვიხსნას: ეს 1500 კაცი მოსწავლე, პროფესსორები, მოხელენი, ხელზე მოსამსახურენი რა სახის ხარჯში ჩასცვივიან, რომ ქალაქს შემოსავალი მოუმატონ ათას თუმნამდე? რა სახელი ერქმევა იმ ხარჯს, რასაც ქალაქი იმათის კისრიდამ ამოიღებს? ბაჟია? მაშ საბაჟო რამ ექმნებათ. Оцѣночный сборъ-ია? მაშ ქარვასლებს აიშენებენ. გილდია? მაშ მედუქნობას, ან მიკიტნობას დაიწყებენ. მახტაა? მაშ ქალაქს ეყმობიან და სხვანი. რა გზით, რა სახელით და უფლებით მიადგებით კარს და მათგან შემოსავლის მატებას გამოატყვრენთ? წვერ-ულვაშზე ხომ არ დაადებთ ბაჟს და სხვას რას ჩასჭიდებთ ხელსა? 1500 კაცი ახალი მცხოვრებელი მარტო ცალკე მედუქნეებს თუ უნდა უხაროდეთ, მუშტარი მოემატებათ, თორემ ქალაქის ჯიბეს აქედამ რა მოეცხობა.

აი, ეს გახლავთ ერთი რიგობა იმ ციფირებისა, რომელთ გამო თ.

სიონის მთის კალთებში; უგზოობისა გამო შესამჩნევად მოწყვეტილია იგი საქართველოს სხვა კუთხეებს; ფოსტა კვირაში მხოლოდ ორჯელ მოდის აქ და როცა დიდი თოვლია, ანუ მეწყერია გზაში ჩამოსული, ადვილად შესაძლებელია, ერთხელაც ვერ კედირსოთ.

სწორედ ამ მიზეზმა შეგვიშალა ხელი და თავის დროზედ ვერ გავიგეთ, რომ 11 იანვარს, ღვაწლით მოსილის მეფის ასის წლის გარდაცვალების დღეს, წირვა და პანაშვიდი იყო დანიშნული. მაგრამ დანაკლისი შევივსეთ და დანაშაული გავისწორეთ: რაჭის მაზრის გვითილშობილთა წინამძღოლის ბ-ნ დავით გვიტაშვილისა და ონის ინტელიგენციის თაოსნობით 22 თებერვალს აქაურ მართლ-მადიდებელთა ტაძარში თავი მოვიყარეთ მეფის ერეკლეს დაკრძალვის ასის წლის მოსაგონებლად. არა თუ მთელის ონის მკვიდრნი, არამედ ახლო მახლო სოფლების მცხოვრებნიც არ დაჰკლებიან ამ პანაშვიდს. ონის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებლები ყველა მოსწავლეებითურთ, თავადაზნაურობა, გლეხები, ვაჭრები და აქაურ დაწესებულებათა თითქმის ყველა მოხელენი, ეროვნების განურჩევლად, ამ დღეს აქ იყვნენ შეკრებილნი. უზარმაზარი ეკკლესია და ეკკლესიის გალავანი სულ ერთიან გაივსო ხალხით. საჭირისუფლო დღეს დიდად ხელს უწყობდა მშვენიერი ამინდი.

წირვის შემდეგ ყველასაგან პატივცემულმა დეკანოზმა, მამა ალექსი გიორგობიანმა, გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც თვალსაჩინოდ დაუხატა მსმენელ საზოგადოებას, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მეფე ერეკლეს ქართველის ერისა და ქრისტიანობის წინაშე. მამა დეკანოზის სიტყვამ ისე გაგვიტაცა, რომ ყველას ასე გვეგონა — მეფე ერეკლეს და მისი მოქმედებას ჩვენის თვალით ვუცქერით. სიტყვის შემდეგ მამა დეკანოზმა, მღვდლის ნესტორ მინდელის თანადახმარებით, პანაშვიდი გარდაიხადა. პანაშვიდზედ მწყობრისა და მსმენელთათვის სასიამოვნო ხმით ქართულად ჰგალობდა ბ-ნ ბაგრატ ქავთარაძის მგალობელთა დასი.

როგორც მითხრეს, აქაური მანდილოსნები ხელის მოწერით ფულების მოგროვებას შესდგომიან მეფე ერეკლეს ფონდის სასარგებლოდ.

ლ. ლევანიძე

## წერილი პარიჟიდგან

### ემილ ზოლა სასამართლოს წინაშე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(დასასრული *)

ზოლას ვექილის ლაბორის სიტყვა.

ლაბორი. მე არა მგონია, რომ რომელსამე საუკუნეში, რომელსამე საქმეს ისე აეღელვებინოს ხალხის გონება, როგორც ამ საქმემ ააღელვა. მთელი საფრანგეთი ფეხზედა სდგას. ყველანი გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ამ საქმის მსვლელობას. ყველაზედ უცნაური ის არის, რომ ხალხს ჩვენ წინააღმდეგ სხვა-და-სხვა საშუალებით აღელვებენ, მაგრამ ჩვენ ამას არ შევუშინდით, ჩვენ თანაგვიგრძნობენ ისეთი საპატიო, მაღალის გონებისა და დიდის ნიჭის პატრონი კაცები, როგორნიც არიან ანჟელ ფრანცი, გრიმო, დიუკლო და მრავალნი სხვანი.

ყველგან და ყველანი ამბობენ, რომ პარლამენტის სამასს დეპუტატს და სენატის ას ორმოც და-ათ წევრს საჭიროდ მიაჩნიათ ამ საქმის ხელახლად გარჩევა, მაგრამ ეს აზრი მთავრობისათვის ვერ განუცხადებიათ, რადგანაც არჩევანების დრო მოახლოვებულიაო.

ყველას პირზედ სინდიკატი აკერია! მრავალნი გაიძახიან, რომ ამ სინდიკატს აზრადა აქვს მოღალატე ურია განათავისუფლოსო. შეიძლება დრეიფუსის ნათესავებს, რომელნიც დარწმუნებულნი არიან დასჯილის უდანაშაულობას, ჰსურთ განათავისუფლონ თავიანთი წევრი და ამისათვის ფულს არა ჰზოგავენ. თუ დასჯილის ნათესავების ასეთს საქციელს სინდიკატს უწოდებენ, მე აქ საძრახისსა და გასაკიცხს არაფერსა ვხედავ; პირიქით, ეს პატივისცემისა და ქების ღირსია! მაგრამ ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ ზოლა მოსყიდულიაო, ვინ იტყვის, რომ მან ფულზედ გასცვალა პატიოსნება, რომ მან ფულის გულისთვის აღიმაღლა ხმაო. არა, ბატონებო! ჯერ ქვეყანაზედ ისეთი სინდიკატი არ შემდგარა, რომელსაც შეეძლოს მოსყიდვა ისეთის პატიოსანისა და გამოჩენილის მოღვაწეებისა, როგორნიც არიან შერერ კესტნერი, ტრარიო, ჟორესი და მრავალნი სხვანი.

შემდეგ ლაბორიმ განმარტა, თუ რა ცუდი შედეგი აქვს ანტისემიტიზმს. ჯარის პატიოსნება და ანტისემიტიზი, სთქვა ლაბორიმ, გადახლართეს ერთმანეთში, ამბობენ, რომ ჯარის პატიოსნება არ იქმნა შეურაცხყოფილი, რადგანაც მოღალატე ურია აღმოჩნდაო. კასსანიაკი ამბობს: „უმაღლესი სიყვარული სამშობლოს მიმართ არ არჩევს არც ურიას და არც ქრისტიანსაო“ და ეს აზრი ჭეშმარიტია. შემდეგ ლაბორიმ წაიკითხა კასსანიაკის წერილი ანტისემიტიზმის შესახებ.

დრეიფუსის საქმე საიდუმლოდ გაარჩიეს. ნება არ მისცეს, რომ ამ გარჩევას ხალხი დასწრებოდა, თუმცა ამას ყველანი თხოულობდნენ: საზოგადოება, ჟურნალ-გაზეთები და თვით დრეიფუსიც. იგივე კასსანიაკი ამბობს, რომ საფრანგეთში, საფრანგეთის ჯარის აფიცერს ნება უნდა ჰქონდეს თავისი თავი საჯაროდ დაიცვას, მაგრამ დრეიფუსის საქმეში ეს ასე არ მოხდა: იმისდა საუბედუროდ, მთავრობამ რაღაც საიდუმლო საბუთის ქაღალდი წარმოაყენა, რომლითაც ვითომც დრეიფუსის დამნაშაობა მტკიცდებაო. დიახ! ეს კარგი საშუალებაა, რადგანაც დრეიფუსის გამართლება სამხედრო მინისტრის დანაშაულობას დაამტკიცებდაო.

როგორც უკვე ვთქვით, საქმის გარჩევის დროს ისეთი საბუთის ქაღალდი წარმოაყენეს, რომელიც დრეიფუსის ვექილს არ უნახავს. ეს ამბავი რომ მართალია, ამას სამხედრო სასამართლოს გარდა, რომელმაც დრეიფუსის საქმე გაარჩია, ერთის წევრის ნალაპარაკები ამტკიცებს. ამ აფიცერმა სთქვა, დრეიფუსის ვექილს ის საიდუმლო ქაღალდი რომ ენახა, უეჭველად დარწმუნდებოდა, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო“. ბევრმა გამოჩენილმა ექსპერტმა განაცხადა, რომ ბორდეროს ნაწერი დრეიფუსის ნაწერს არ ჰგავსო. ერთის სიტყვით, დრეიფუსი დამნაშავე იყო თუ არა, სამართალი კანონიერად არ მოიქცა და ამიტომ ეს საქმე ხელახლად უნდა გაირჩეს.

ბევრნი გვისაყვედურებენ, რომ ამ საქმეს 12 დღე მოანდომეთო. დიახ! მოვანდომეთ ეს დრო, რადგან ზოლას საქმესთან მჭიდროდ არის შეკავშირებული ესტერგაზის და დრეიფუსის საქმეც. მაგრამ ამ უკანასკნელის შესახებ ჩვენ ლაპარაკის ნება არ მოგვცეს, პირს გვიკრავდნენ.

არც ერთის თავისუფალის აზრის წარმოთქმა არ შეიძლება იქ, სადაც მილიტარიზმი არსებობს. სხვაგან თუ თაყვანსა სცემენ კერძოდ სამხედრო წოდების კაცებს, ჩვენში თაყვანს სამხედრო ბიუროს, საგენერალო შტაბსა სცემენ, მაგრამ არის ისეთი საგანი, რომელიც ჯარზედ მაღლა უნდა იდგეს და რომელსაც ყველანი უფრო მეტის პატივის ცემით უნდა ვეკიდებოდეთ — ეს საგანია კანონი. განა ზოლამ ეს არა სთქვა? განა ზოლას ჯარის დამცირება უნდოდა? პირიქით, ჯარს თავის წერილებში იგი პატივისცემით იხსენიებს და მხოლოდ იმას არის მოწადინებული, რომ ჯარიც კანონს დაუმორჩილოს.

შემდეგ ლაბორი შეეხო იმ საპყრობილეს უფროსის ფორცინეტის ნალაპარაკებს, რომელშიაც დრეიფუსი იყო დაპატიმრებული.

ფორცინეტიმ სთქვა, განაგრძო ლაბორიმ, მივიღე სამხედრო მინისტრისაგან საიდუმლო ქაღალდი, რომელშიაც მწერდნენ, შენს საპყრობილეში დაპატიმრებულ იქმნება მოღალატე, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეო. ნაბრძანები მქონდა ცალკე ოთახში ჩამესვა, არ მიმეცა არც ქაღალდი, არც მელანი, არც ყარანდაში, არც დანა და არც სხვა რამე. 9 დღის განმავლობაში, ბულიონის გარდა, დრეიფუს არავითარი საჭმელი არ მიუღიაო. გამომძიებელი პატი-დიუ-კლამი რამდენჯერმე მოვიდა დრეიფუსთან. ერთხელ პატი-დიუ-კლამმა მთხოვა, ძალიან ნათელი ფარანი მომეტანა, რომ, როდესაც შევიდოდა, ფარანს უცბად გაენათებინა დრეიფუსის სახე. მე ვუთხარი, ასეთი ფარანი არა გვაქვს მეთქი. საცოდაობით ვიწოდი, როდესაც დასჯილს ვუყურებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის დამნაშავე არ იყო. როდესაც სასამართლოს განაჩენის შემდეგ ოთახში შევიყვანეთ, დრეიფუსმა დამინახა თუ არა, ტირილით შემომძახა: „მე დამნაშავე არა ვარ, მთელი ჩემი დანაშაული ის არის, რომ ებრაელი ვარო“.

შემდეგ ლაბორიმ წაიკითხა ზოგიერთი ადგილი იმ სამხედრო სასამართლოს დრეიფუსის საქმის გარჩევის ანგარიშიდგან. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ თავმჯდომარე დრეიფუსის ვექილს არ ალაპარაკებდა თურმე. აი ბატონებო, დაუმატა ლაბორიმ, ასე ირჩეოდა სამხედრო სასამართლოში დრეიფუსის საქმეო.

შემდეგ ლაბორი შეეხო იმას, თუ

*) იხილე „ივერია“ № 44.

---

გ. თუმანოვი დოინჯ-შემოყრით და თავმოწონებით გვიყვირის: „ასეთია ჩემი ციფირებიო“. ჩვენცა ვხედავთ, რომ ასეთია და ამიტომაც ვკითხულობთ: ეს ოინბაზობაა, თუ სულელობა? თ. გ. თუმანოვს-კი ეს ციფირები „მოდი მნახე ციხე“ ჰგონია, გაუტეხელი და შეუვალი. ბარაქა მის მგონიაობას. ვთქვათ, ამ ნაცარქექია არითმეტიკოსმა ეს ათასი თუმანი აქედამ გამოქექა და პოლიტეხნიკუმის სტუდენტებს, პროფესსორებს, მოხელეებს და სტოროჟებს ცხვირიდამ წამოადინა. ეს დანარჩენი ორი ათასი თუმანი საიდამ-ღა გამოუხანხლა ჩვენს ბედნიერს ტფილისს? თქვენ „იშტა“ ბძანეთ, თორემ ფლავი მზადა აქვს თ. გ. თუმანოვს. თვითონაც, წარმოიდგინეთ, ჰკითხავს თავისს თავსა: ეს ორი ათასი თუმანი საიდამ-ღა უნდა უშოვოს ქალაქმა პოლიტეხნიკუმსო? (*) ჰმ, საიდამ? თ. გ. თუმანოვი-კი იქნება ამას დიდხანს დაუფიქრდეს და ძვირფასი დრო დაჰკარგოს. ერთი შუბლზე თითი მიიდვა და გაატყვრინა ის ორი ათასი თუმანიც.

ხომ მოგეხსენებათ, რომ ქალაქი სხვათა შორის დაჰპირდა საჩუქრად პოლიტეხნიკუმს ოთხას დღიურ მიწას. თურმე ნუ იტყვით, ამის გარშემო ვილასაც დაუთესნია მანეთები ოდესღაც — დიდის ხნის ამბავი იქნება, — და რაკი ჩვენში პოლიტეხნიკუმი გაიმართება, ეს მანეთები პრასასავით მოვა და მოვა ყოველ წლივ და თ. გ. თუმანოვი ყოველ წლივვე ორი ათასის თუმნის კაკალ მანეთებს მომკის და იმოდენად ყაირათიანია, რომ ამაზე მეტს ხელს არ ახლებს და სათესლედ შეინახავს. თქვენ იქნება ეს ხუმრობა გეგონოთ. აბა ყური დაუგდეთ თ. გ. თუმანოვს, თუ ხუმრობაა.

„საბჭოში საბუთიანად სთქვესო, რომ რაკი პოლიტეხნიკუმი ქალაქისაგან ნაჩუქარს ოთხას დღიურ მიწას კეთებას დაუწყებს, აშკარაა გარშემო დანარჩენი მიწები ქალაქისა ფასს მოიმატებსო“... (**)

თქვენც იტყვით, რომ ამ სიტყვებში ჯერ არც პრასაა და არც ნიახური. თანახმანი ვართ.

„თუ ვიფიქრებთო, ბძანებს შემდეგ თ. გ. თუმანოვი: რომ ქალაქს შვიდი ათასს დღიურზე მეტი მიწა აქვს და ამ შემთხვევის გამო (მითამ პოლიტეხნიკუმის გამო), სულ ცოტა რომ ვთქვათ, — ოთხმოცსა ან ას დღიურზე მაინც ხალხი დასახლდება და ქალაქს იჯარის ფულს მისცემენ საჟენზე, — რა სათქმელია, — თუნდ ერთს აბაზსა, ქალაქის ჯიბეს ორი ათას თუმნამდე წელიწადში შემოსავალი მოემატებაო“.

აი, პრასა და ნიახურიც, ეს არის. ბარაქალა, თ. გ. თუმანოვო, ჩვენ და ჩვენმა ღმერთმა ბარაქალა! ესეთი ანგარიში რომ სხვაგან სადმე ითქვას, მთქმელს საგიჟეთში ამოაყოფინებდნენ თავს და სწორედ მოგახსენოთ, გზაც ის არის. ბარაქალა რომ ამისი შიში და ფიქრი არა ჰქონია. ესეც ერთი ვაჟკაცობაა!

ოთხასი დღიური მიწა, რომელსაც თ. გ. თუმანოვის ანგარიშით, პოლიტეხნიკუმი დაუწყებს კეთებას, ორი ოთხ-კუთხე ვერსტია. ეს ორი ვერსტი მიწა ხომ ქალაქ გარედ იქნება, იმიტომ-რომ ამოდენა ცარიელი მიწა ქალაქ შიგნით არ არის, თუნდ თ. გ. თუმანოვმა თავისის მატრაკვეცულ არითმეტიკითაც რომ სჭიმოს, როგორც 350 მესამედი 1500-მდე გასჭიმა და „ჩოტკამაც“ არ უღალატა. მაშასადამე, პოლიტეხნიკუმი ორს ვერსზე სხვა მოსახლეს არ მიიკარებს და არ გააჭაჭანებს. აბა რომელ მხარესაც გნებავთ მოუარეთ ტფილისს და უკანასკნელ სახლიდამ ჯერ ეს ორი ოთხკუთხი ვერსტი ცარიელი მიწა გადაზომეთ და მერე ბძანეთ, იმას იქით მიწები საჟენი ერთ აბაზ, ესე იგი, დღიური ოც-და-ოთხს თუმანს იჯარას შემოიტანს ყოველ წლივ?!. მაშ მანეთები მართლა პრასა და ნიახური ყოფილა თ. გ. თუმანოვისათვის, სხვა რა ჯანაბაა. ავლაბარსა და ნავთლუღს შუა მთელი პოლკი ცხენოსანი ჯარი დადგა, უშველებელი შენობები წამოსჭიმა, ავლაბრის უკანასკნელ სახლიდამ ორი ვერსტი ძლივს იქნება, ჰ ერთი ჰკითხეთ თ. გ. თუმანოვს: იმის გარშემო ქალაქის მიწები რავდენ ჭრელს აბაზს იძლევა წელიწადში საჟენზე იჯარას? სადღება თუ არა იქ დღიური მიწა წელიწადში ოც-და-ოთხ-თუმნად და თუ სადღება, ვინ ეშმაკი სჭამს ამოდენა ფულს?

თუ ერთმა პოლკმა ცხენოსანმა ჯარმა ქალაქის შემოსავალს თითქმის არა მოუმატა-რა ამ გზით, პოლიტეხნიკუმი როგორ მოუმატებს გარშემო მიწებს იმოდენა ფასს, რომ ოთხმოცმა, ან ასმა დღიურმა ორი ათასი თუმანი ჩაუყაროს ქალაქს ჯიბეში ყოველ წლივ? ჰკუავ, რა კაი საქონელი ხარ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ძალიან გაძვირებულხარ ჩვენს დალოცვილ ტფილისში, ან მომწყვდეულხარ „Новое Обозрѣніе“-ში, მუსაიფობ შინაურულად თ. გ. თუმანოვთან და ქვეყანა ფეხებზედ გკიდია.

„ასეთია ჩემი ციფირებიო“! დიაღ, სწორედ ასეთია, მაგრამ აქ თავ-მოსაწონებელი იმდენია, რაც მაგ ციფირებში ჭკუა და ლოღიკა. ამ ბაქიობას თ. გ. თუმანოვისას თავი დავანებოთ, დეე გული იფხანოს, გულს ნებას ნუ წავუხდენთ, ტკბილი კაცია. რა ქნას? ძალიან უნდა, რომ მისმა ბამბამ იჩხრიალოს. იჩხრიალოს, ჩვენ რა გვეხარჯება, ან ვის რა აკლდება?

ხოლო ეს კი საკითხავია: ეს ახირებული არითმეტიკა რის მომასწავებელია? რა არის იგი? ოინბაზობაა, თუ სულელობა? ჩვენ ჩვენი ვთქვით და ეხლა თქვენ იცით.

ახლა იკითხავთ: ღირდა-კი, რომ ამ აბდა-უბდას თ. გ. თუმანოვისას ასე გძლად კვალში ჩაუდეგით და ორი ფელეტონი გასჭიმეთო. თ. გ. თუმანოვის აბდა-უბდა კი არა ღირდა, მაგრამ ის-კი ღირდა, რომ ქალაქის საბჭომ იცოდეს, რა რიგად არის სასაცილოდ აგდებული თ. გ. თუმანოვისაგან ეს ჩვენი დედა-ქალაქი: იგი თავისს ცუღლუტს არითმეტიკას ქალაქის სახელით ასაღებს და ქვეყანას არწმუნებს, რომ ქალაქიც ჩემის ჭკუისა არისო და ისე ჰპირდება სამი ათასს თუმანს პოლიტეხნიკუმს, როგორც მე დავროშეო.

თავის მოჭრა და სამარცხვინოდ გახდომა ჩვენის ტფილისისა არ არის განა ეს? არა ღირდა განა ჩვენს ქალაქს გამოვქომაგებოდით და ამისათვის ბუკი და ნალარა დაგვეკრა. ამით გაგვამართლეთ და ნუ გაგვკითხავთ ჩვენ.

(*) იხილეთ «Нов. Обозр». № 4844.

(**) იხილე იგივე № 4844.

დრეიფუსს ღირსება როგორ აჰხადეს. შეჰკრიბეს ჯარი, რომელსაც მეთაურად გენერალი დარრასი დაუნიშნეს, სთქვა ლაბორიმ; სამმა არტილერიის აფიცერმა გამოიყვანეს დრეიფუსი, რომელიც მარჯვედ მოდიოდა. გენერალი მივიდა დრეიფუსთან და გამოუცხადა: „ღირსი არა ხარ სამხედრო იარაღი ატარო და ამიტომ უნდა ჩამოგხსნათო“. ამ დროს დრეიფუსმა წამოიძახა: „მე დამნაშავე არა ვარ! ვფიცავ ყველაფერს, რომ მე დამნაშავე არა ვარ! გაუმარჯოს საფრანგეთსაო!“ როდესაც ადიუტანტმა ააგლიჯა სამხედრო ღირსებანი, დრეიფუსმა ხელ-ახლად დაიძახა: „ვფიცავ ჩემ ცოლშვილს, რომ მე დამნაშავე არა ვარ! გაუმარჯოს საფრანგეთს!“ო... შემდეგ ღირსება ახდილი დრეიფუსი ჯარითა და მუსიკით წაიყვანეს. ამ დროს ხალხში ვიღაცამ დაიძახა: „სიკვდილი მოღალატესაო“, ხოლო დრეიფუსმა მიუგო: „გაუმარჯოს საფრანგეთსაო!“ მერე ლაბორიმ წაიკითხა დრეიფუსის წერილები მინისტრთანა და ვექილთან მიწერილი. ამ წერილებში დრეიფუსი იმეორებდა, რომ დამნაშავე არა ვარო და ერთს წყალობასა თხოულობდა, გამოძიებას ნუ მოსპობთ და ნამდვილი მოღალატე აღმოაჩინეთო.

ამბობენ, განაგრძო ლაბორიმ, არსებობს ისეთი საბუთის ქაღალდი, რომელიც ერთს საიდუმლოს შეიცავსო. მე ვამბობ, რომ დრეიფუსი დასჯილი იყო მხოლოდ როგორც ბორდეროს ავტორი, რადგანაც არც ერთს მოხსენებაში, ბორდეროს გარდა, სხვა ქაღალდი არა არის-რა აღნიშნული. იმ ქაღალდს, რომელიც იწყობა: „Ce canaille de D...“ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ის სამხედრო კაცების შორის უბრალო მიწერ-მოწერას შეიცავს და სხვა არაფერს. დრეიფუსის გვარი სულ არ არის იქ მოხსენებული. პიერმა პირდაპირ განაცხადა, რომ დრეიფუსის გვარი არსად, არც ერთს ქაღალდში არ არის მოხსენებულიო. ეს საბუთის ქაღალდი საქმის გარჩევამდე რვა თვით ადრე სამინისტროში იყო.

ხოლო რაც შეეხება იმ საბუთის ქაღალდს, რომელშიაც სწერია „არა სთქვათ, რომ საქმე გვქონდა მაგ ურიასთანაო“, ეგ ქაღალდი მხედველობაში მისაღები არ არის, რადგანაც იგი ვიღაცას გამოუგზავნია თავისს სადარბაზო ბარათთან ერთად. ამას გარდა, ეს ქაღალდი შემდეგ მიიღეს. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს, საჭიროა ხელ ახლად გაირჩეს საქმე, ბორდეროს ნაწერი მრავალმა ექსპერტმა განიხილა და ბევრმა ესტერგაზის ნაწერად სცნო იგი. ეს გარემოება უფრო საჭიროდ ჰყოფს დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად განხილვას.

ბოლოს ლაბორიმ აღნიშნა დაწვრილებით ბიოგრაფია დრეიფუსისა და იმის ოჯახისა, საიდგანაცა სჩანდა, რომ დრეიფუსი ელზასელი იყო.

ზოლას წერილი, სთქვა დასასრულ ლაბორიმ, ჭეშმარიტებისა და სიმართლის ღაღადისია. ეს წერილი, რომელმაც ამ ბოლოს დროს საფრანგეთში მომხდარი ყველა შეცდომა გვაჩვენა, უწმიდესისა და უდიდესის ღირსებით არის სავსე.

ნუ თრთით, ბატონებო! ნუ გეშინიანთ! ჯარის პატიოსნებასა და სახელს ჩირქი არ მოსცხობია და არც მოეცხობა. აქა სთქვეს, რომ ომი მოახლოვებულიაო. ნუ შეგეშინდებათ, ბატონებო, ომისა! ჩვენი მამაცი და ყოჩაღი ჯარი წინ დაუხვდება მტერს და გამარჯვებას გვაჩვენებს.

იმედი მაქვს, ბ-ნო მოსამართლენო, რომ ემილ ზოლას გაამართლებთ. თქვენ კარგად იცით, რომ ის საფრანგეთის დიდება და სახელია. მეც, როდესაც ზოლას გამართლებასა გთხოვთ, მსურს დავიყვირო: „გაუმარჯოს ჯარს!“ მაგრამ ამავე დროს არ შემიძლიან არ დავუმატო: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს კანონს! გაუმარჯოს სიმართლისა და ჭეშმარიტების უკვდავს იდეალს!..“ ეხლა ბ-ნნო მოსამართლენო, დამშვიდებული მოველი თქვენს განაჩენს.

ლაბორის შემდეგ ილაპარაკა მეორე ვექილმა კლემანსომ, რომელმაც მოკლედ თვალი გადაავლო ესტერგაზისა და დრეიფუსის საქმის გარჩევას.

ჟორჟ კლემანსო. მე არ ვიცი, დრეიფუსი დამნაშავეა თუ არა, ვიცი მხოლოდ, რომ კანონი და სამართალი დაირღვა, ადამიანის უფლება შეილახა. სამხედრო სასამართლომ საქმე თავისის ნებით-კი არა, მინისტრის ბრძანებით გაარჩია. აღასრულეთ, ბ-ნო მოსამართლენო, თქვენი მოვალეობა. ჩვენ თქვენს წინაშე წარმოვდექით, ხოლო თქვენ ისტორიის წინაშე წარსდგებით.

ნახევარის საათის მოლაპარაკების შემდეგ სასამართლომ განაჩენი წაიკითხა: ზოლას ერთის წლით დაპატიმრება და 3,000 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა, ხოლო გაზ. „ავრორის“ რედაქტორს—ოთხის თვით დაპატიმრება და 3,000 ფრანკი ჯარიმა. (დარბაზში გაისმა „გაუმარჯოს ჯარსაო“.)

ამ საქმემ, როგორც ტერმომეტრმა, აშკარად უჩვენა ყველას საფრანგეთის ძარღვის მოძრაობა, იმისი მიმართულება, იმისს სხეულში დაბუდებულის მიკრო-ორგანიზმების ბრძოლა. საფრანგეთი ავადმყოფია, მაგრამ სხვა კარგად მყოფებს არ ჩამოუვარდება.

გ.

პარიჟი 26 თებერვალი (14 თებ.)

## ნაკვესი

— ქათმის ხანს კბილებზედ შეკატყობ.

— არა მჯერა.

— რატომაო?

— იმიტომ-რომ ქათამს რა კბილები აქვს?

— მერე ვინ მოგახსენათ, ქათმის კბილებზედაო, ჩემს კბილებს ვამბობ, ჩემსას.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ივანე გურიელის საქმე

23 თებერვალს ქუთაისის ოლქის სასამართლომ თავ. ივანე გურიელის საქმე გაარჩია. თავ. ივანე გურიელს ის ბრალი ედება, რომ მამის მოკვლა განიზრახა და ამ აზრის სისრულეში მოყვანა მაინდო თავისს მოსამსახურეებს სტეფანე გურგენიძესა და ირაკლი თავართქილაძეს, რომელნიც აგრეთვე სამართალში იქმნენ მიცემულნი. სასამართლოს ჭთავმჯდომარეობდა ს. ს. სურინი და წევრებად იყვნენ: გ. თ. ჭკინე და ს. ნ სტეფანოვი. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები—თავ. ა. მ. ქობაძიძე, თავ. მ. გ. ფალავა და დ. გ. ხელთუფლიშვილი. ბრალმდებლად ბრალმდებელის ამხანაგი ი. ს. სტრადომსკი იყო დანიშნული. თავ. ი. გურიელის საქმე იმითაა უფრო საყურადღებო, რომ იმას უნივერსიტეტში აქვს სწავლა დამთავრებული იურიდიულ ფაკულტეტზედ და სწავლა-განათლების დასამთავრებლად სამი წელი პარიჟში გაუტარებია. საქმე ხალხის დაუსწრებლადირჩეოდა და ამიტომ არ შეგვიძლიან საქმის უოველგვარ ვითარების გარდმოცემა დაწვრილებით. ვაუწყებთ მკითხველებს მხოლოდ იმას, რაც გამოქვეყნებულ იქმნა გაზეთებში.

1897 წელს 6 ივლისს დილით ხანჯლით ზურგში იქმნა დაჭრილი მილიციის პოდპორუჩიკი თავ. დავით გიორგის ძე გურიელი სოფ. სუფსაში. თავ. გურიელი დასჭრეს მაშინ, როდესაც ის რკინის გზის სადგურისაკენ მიდიოდა. ამავე წლის 9 ივლისს თავ. დავით გურიელს ჩვენება ჩამოართვეს. ამ ჩვენებიდგანა სჩანს, რომ თავ. დავით გურიელი დასჭრა სოფ. დიხაშხოის მცხოვრებელმა სტეფანე გურგენიძემ, რომელიც თავ. ივანე გურიელთან მოსამსახურედ იდგა. თავ. ივანე და მამა დავით გურიელი რამდენიმე წელიწადია, რაც ერთმანეთს მტრულის თვალით უყურებდნენ. სტეფანე გურგენიძე თავ. კასტანგ გურიელის სახლის მახლობლად უცდიდა თავად დავითს, რადგან იცოდა, რომ სადგურში მისასვლელად ამ გზით უნდა წამოსულიყო, და გაიარა თუ არა თავ. დავით გურიელმა, გურგენიძე უკანიდგან მიეპარა და ზურგში ხანჯალი დაჰკრა. გურგენიძეს არავითარი საბუთი არა ჰქონდა გურიელი მოეკლა, რადგან თავადისა და გურგენიძეს შორის არაფერი სამტრო არა ყოფილა-რა. ცხადია სხვებმა წააგონეს თავ. დავით გურიელი მოეჰკლაო და იმათ შორის, დავით გურიელის აზრით, იმისი შვილი ივანეც ურევია, რომელმაც თავისს დედინაცვალთან ერთად (აწ განსვენებულთან) თავ. დავით გურიელის მამულდედულზედ მზრუნველი დააყენებინა, იმ მიზეზით, რომ ქონებას უზრადლოდ ჰფლანგავსო. ნამდვილად-კი იგი ისეთს არაფერს სჩადიოდა, რომ მზრუნველი დაეყენებინათ. რაკი ეს ასე მოახერხეს, მაშინ მზრუნველად შვილი იქმნა დაყენებული და თავ. მაჭუტაძე, რომელიც არავითარის უფლებით არა ჰსარგებლობდა, რადგან თავ. ივანე გურიელმა რწმუნების ქაღალდი ჩამოართვა თავ. მაჭუტაძეს, და მამის მამულ-დედულის სრული გამგებელი შვილი გახდა.

18 ივნისს 1897 წ. გარდაიცვალა თავ. დავით გურიელის მეუღლე მართა, რომელთანაც ქმარს ყოველ-გვარი კავშირი შეეწყვიტა და აბიბა ბერაძეს ქალთან სცხოვრობდა. თავადს აბიბა ბერაძისაგან ოთხი შვილი ჰყავდა და კანონიერის ცოლის გარდაცვალებისა გამო განიზრახა ჯვარი დაეწერა აბიბა ბერაძეზედ. ეს ამბავი ყველამ იცოდა და 5 ივლისს, თავადის დაჭრის წინა დღეს, კაცი გაჰგზავნა მღ. ხუტუდაიშვილთან და სთხოვა მოწმობა გამოეგზავნეთ, რომ ჯვარი დავიწეროო. ერთის სიტყვით, სუფსაში ყველა იყო დარწმუნებული, რომ ჯვარის წერა მალე იქმნებაო. შვილს ხელი უნდოდა შეეშალა ჯვრის წერისთვის, რადგან მამის მამულ-დედულის გამგეობა ახალს ოჯახობას გადაეცემოდა და ამ აზრით გაჰგზავნა თავისს კაცები მღვდელთან, რომ თუ ჯვარი დაგიწერია, ემისკოპოსთან გიჩივლებო. ამას გარდა, 5 ივლისს კიდეც ფილიპე ჭყონიამ შეატყობინა თავ. დავით გურიელს, რომ გაფრთხილდი, შენი შვილი ცუდს საქმეს გიპირებსო. ჭყონიამ ამასთანავე უთხრა, რომ შეიძლება მოგკლან, ან მოგწამლონო. დავით გურიელმა ჭყონიას წასვლისათანავე დაუძახა ძმ. მოსიკო, კონსტანტინე და ალექსანდრე გორდელაძეებს, რომელთანაც ჩამოხტა სუფსაში, გამოუცხადა ყველაფერი, რაც ჭყონიამ უთხრა და სთხოვა, ყოველგვარი ღონე იღონეთ და დამიფარეთ განსაცდელისაგანაო. ღამე მშვიდობიანად გაიარა, თუმცა 5 ივლისს საღამო ჟამზედ გორდელაძეებთან მოვიდა თავ. დავით გურიელის შვილის მოსამსახურე ირაკლი თავართქილაძე, რომელიც ცდილობდა თავ. დავით გურიელის ამბავი შეეტყო და რამდენჯერმეც შეიხედა იმ ოთახში, სადაც თავადი ღამეს ათევდა.

აი ყოველივე გარემოება ამ საქმისა, რომელიც, როგორცა სჩანს საბრალმდებლო განაჩენიდგან; გამოძიებამაც გამოარკვია.

27 თებერვალს ქუთაისის ოლქის სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა თავ. ივანე გურიელი და ირაკლი თავართქილაძე, ხოლო სტეფანე გურგენიძე, რომელმაც ხანჯლით დასჭრა თავ. დავ. გურიელი, დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ციმბირის შორეულ ადგილში გაგზავნა დასასახლებლად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 მარტი

**პეტერბურგი.** 1 მარტს იმპერატორ ალექსანდრე II განსვენების დღეს პეტრე პავლეს საკრებულო ტაძარში შესრულებულ იქმნა ლიტურღია და აკლდამასთან გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული და საიმპერატორო გვარეულობის წევრნი.

**სოფია.** განსვენებულის იმპერატორის—განმათავისუფლების სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მიტროპოლიტისა და სოფიის მთელის სამღვდელოების მიერ.

**პეტერბურგი.** 64 ტირაჟი მეორე სესხისა.

| №№ სერ. | №№ ბილ. | მოგება |
|---|---|---|
| 2260 | 34 | 200,000 |
| 886 | 6 | 75,000 |
| 18918 | 40 | 40,000 |
| 7876 | 21 | 25,000 |
| 6096 | 33 | 10,000 |
| 11851 | 20 | 10,000 |
| 8560 | 27 | 10,000 |
| 9648 | 29 | 8,000 |
| 12957 | 32 | 8,000 |
| 8373 | 38 | 8,000 |
| 12598 | 1 | 8,000 |
| 17433 | 31 | 8,000 |
| 370 | 39 | 5,000 |
| 13256 | 13 | 5,000 |
| 12531 | 18 | 5,000 |
| 7305 | 10 | 5,000 |
| 12005 | 23 | 5,000 |
| 15202 | 43 | 5,000 |
| 15354 | 17 | 5,000 |
| 4561 | 1 | 5,000 |
| 18901 | 11 | 1,000 |
| 19185 | 50 | 1,000 |
| 9738 | 45 | 1,000 |
| 15330 | 48 | 1,000 |
| 13619 | 12 | 1,000 |
| 14526 | 47 | 1,000 |
| 4261 | 4 | 1,000 |
| 14337 | 23 | 1,000 |
| 16044 | 12 | 1,000 |
| 542 | 31 | 1,000 |
| 13714 | 35 | 1,000 |
| 3033 | 10 | 1,000 |
| 15355 | 49 | 1,000 |
| 5663 | 32 | 1,000 |
| 18139 | 47 | 1,000 |
| 3446 | 42 | 1,000 |
| 9229 | 7 | 1,000 |
| 15388 | 5 | 1,000 |
| 11858 | 23 | 1,000 |
| 5291 | 11 | 1,000 |

## წერილი რედაქციის მიმართ

6 იანვარს გამართულის ბალიდამ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ, შემოსავალი იყო: ბილეთები გაიყიდა—2,692 მან. და 49 კ. (ამაში 592 მ. და 49 კ. შემოწირულია) და ბუფეტიდამ 326 მ. და 20 კ. სულ 3,018 მ. და 69 კ.

დაიხარჯა: მარკებზე—100 მან., განცხადების, აფიშების, წერილების და ბილეთების დაბეჭდვაზე 36 მ. და 80 კაპ., საზანდარს და სამხედრო მუსიკას მიეცით 98 მ., დარბაზის განათების და მოწყობის ხარჯი 59 მ. და 80 კაპ., მოსამსახურეებს და სხვა წვრილმანი ხარჯი 28 მ., ბუფეტი დაგვიჯდა 135 მ., ბ. მაიერს ყვავილებისა მიეცით 15 მ., ბ. მიასნიკოვს—პატარა წიგნაკებისა და სხვა წვრილმანი ხარჯისა 15 მ. და 90 კ. სულ ხარჯი იყო 488 მან. და 50 კაპ.

წმინდა შემოსავალი 2530 მან. და 19 კაპ. გარდაეცა დანიშნულებისამებრ „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტს“.

საღამოს გამგე, გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი, კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა აცხადებს რა ამ ანგარიშს, უგულითადეს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველთ, გაზეთ „ივერიის“ რედაქციას უსასყიდლოდ განცხადების ბეჭდვისათვის და იმათ, რომელთაც ხელი შეუწყეს საღამოს გამართვას.


## განცხადებანი

ე. ფ. აუფერმანის

**მანქანათა საწყობი**




ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 2-го Марта 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.